

ISSN 0132-6015

24-84

საქართველო

ნ.ა. ჯ. ლომუაძე



ქართული
ბიბლიოთეკა

შენ, რესპუბლიკავ ჩემო, გილოცავ
დიდი ლენინის მესამე ორდენს!
მუდამ დოვლათი, უღრუბლო ზეცა,
ბამარჯვება და მშვიდობა გქონდეს!

გილოცავ ფრთების არანახულ გაზღას,
სუხველა ჯილდოს, სუხველა დროვას,
ოთხმოცდაოთხის ბრძოლებით წასვლას,
ოთხმოცდახუთის ზვიგით მოსვლას!



მე მივდივარ, ახლა შენი ჯერია,
შენ გიტოვებ, საქართველო შენია!

შეხვედრა 1985-თან

საქართველო
ბიზლირთაქს

არ დაიგვიანა არც ერთი წუთით
კარებზე აკაკუნებს ოთხმოცდახუთი!..
— რა მოგაქვს, რა მოგაქვს, წელი ახალი!
რა უნდა გვაჩუქო, რა უნდა გვახარო?

— რა მომაქვს? პირთამდე საცხე მაქვს
სუთებით
ხურჯინი, გოდორი, კალათა, ყუთები...
ხუთები სწავლისთვის — ვაყების, ასულების,
ხუთები — ხუთწლედის ხუთებზე
გასრულების,

მშვიდობა, სიმრთელე, ხალისი, ბარაქა
ღღისთვის, ხვალისთვის, მომავლის მარაგად.
ამასთან, იცოდეთ, თან მომაქვს მარხილით
ბოროტის მსახვრალი სატირის მახვილი!

— სატირაც გვჭირდება, სიქველის მცველი!
მაშ, ერთად ვიაროთ, მოგვეცი ხელი!
სიკეთე ვთესოთ, სიყვ ვცვალოთ!
მობრძანდი, მობრძანდი, ახალი წელი!

აკოლონ ბასილია

ის იყო, სახალწლო სუფრის გაწყობას ვაპირებდი, რომ სიღვდრი დამაღვა თავს.

— სორაგვეული ჩემზეა, — მითხრა სრულიად სერიოზულად და სერიოზულად გამაკვირვა მოულოდნელი ხელგაშლილობით.

— კუჭს არა, მარა თვალს უთუოდ გააძღვებს, — ჩაიღიმილა და ხელჩანთიდან ცელოფანის გრაგნილი დააძრო. ვერაფერს მივხვდი, სანამ არ გაშალა.

მაინც ვის მოაფიქრდა: სუფრაზე გადასაფარებელი აღმოჩნდა და თანაც როგორი! საქართველოს რუკის თარგზე იყო მოგვირისტებული და ზედ ალაგა-ალაგ სორაგვეული იყო დასვაებული.

— ზოგ რამეს ნატურალურად დაამატებ და კაცი ხარ!.. — შემომცინა ცოლმა.

მართლაც, მაგიდა წამიერად შეიცვალა: კახეთის დასამხარზე ჩურჩხელები, ლეღვის ჩირი და ყურძენი ვეწო, ქართლის ველზე ატლასივით ნახსოიანი ატმები, ვაშლი, მსხალი, იმერეთის გორაკებზე — რძიანი სულუგუნის კვერები, შემწვარი წიწილები, გურიანა-აჭარა-სამეგრელო-აფხაზეთის ბორცვებზე — ციტრუსების გროვები, ჩურჩხელები... სვანეთში, ოსეთ-თიანეთ-ფშავ-სვესურეთის მთიან კალთებზე — ხინკალი, ხაჭაპური, თაფლიანი ფიჭები და ერბოს ქილები ვეწო...

— ხელდავთ? მიმხვდარა „სოლანი“, რა მხრიდანაა მოსალოდნელი ბრძოლანი! — აღმომხდა ყოველივე ამის მხილველს.

— მაგი სულაც არაა „სოლანის“ ნახელავი! — შემომხედავა სიღვდრი.

მე და ჩემი მეუღლე ცივი საუზმის გაწყობას მოვრჩით და ახლა სასმელებს ვარიგებდით.

— სამცხეში რა უნდა, ბიჭო, „გრემს“?! დადვი თავის ადგილას კახეთში! — შემომწერა ცოლისდა, რომელსაც ერთი ხელი ბასიანის ველზე ედო, მეორეთი კი იქვე, მტკვრის ხეობაში დგამდა „ვარძიას“.

ახლალა ჩავუხვდი ცელოფანის მომხატავის დიდებულ ჩანაფიქრს, იგი უთუოდ ჩვენი ინტერნაციონალური დედაქალაქის მკვიდრი იყო და ნამდვილად სხვადასხვა ეროვნების მეზობლები ჰყავდა ისე, როგორც მე. თბილისში, მინარეთებთან, აგრეთვე სომხეთ-საბარათიანოს მისახედზე ფითი, ლულა-ქაბაბი და ტოლმა ელაგა და ფლაგი, ბასტურმა, ჩანახიც იორთქლებოდა. ზღვისპირეთში ვინეგრები, კარტოფილი მუნდირში, ქაშაყი კარტოფილით, კრაკოვის ძეხვი და „კორეკა“ მოჩანდა.

ცელოფანის გადასაფარებელს მე და ჩემი მეუღლე კონსპექტ-შპარგალკასავით ვიყენებდით — იქ მოცემული სქემის მისხედვით ვაწყობდით საჭმელებს. მაგიდა თითქმის მზად იყო და ვიგრძენი რომ მე მება-რა მთელი საქართველოს სორაგვეულის ბედი.

სადარბაზოსთან რომ ზარმა დარეკა, ბრო-

სუფრა გაუღილო!..

იუპორასკა

ლის ჭაღებმა და ყარყარა ჭიქებმა ამკლუბი ლაშქრის მოახლოება იგრძნეს და ძველი დედო ზარებივით საგანგაშო რეკვა-ზრიალი მორთეს.

მე მხედართმთავარივით დინჯად დავეყურებდი ჩემს საბრძანებელს და ვხედავდი, ყოველი მხრიდან როგორ უახლოვდებოდნენ მის საზღვრებს სტუმარ-ამკლუბნი, ქერანი და შავგვრემანნი, უღვაშიანნი და უუღვაშიანი, ქოჩორები და თავგადანოტრილები, კბილიანები და უკბილონი, ხელჯონიანები და პროთეზიანები...

მარბილის ხელი უწინ „ვარძიას“ და „გრემს“ შევსო, მერე „ბასტიონს“ და „ყვარელსაც“ მისწვდნენ. ქუთაისთან ჯერ ისევ ხელუხლებლად იდგა „გელათი“, სამაგიეროდ ნაქალაქეთან „ციცქას“ და ლაჯანურ-

ვის რას ვუპირებდით სახალწლოდ

ყ ბ ე დ ე ბ ს — მეტყველების უნარის დაქვეითებას
 და სმენის ორგანოს გააქტიურებას!
 თ ა ვ ზ ე ხ ე ლ ა დ ე ბ უ ლ თ — ცუდ საქმეებზე აელოთ
 ხელი და არა საკუთარ თავზე!
 დ ა ხ ლ ი ს ზ ო გ მ უ შ ა კ ს — მომხმარებლისადმი
 არამომხმარებლურ დამოკიდებულებას!
 ქ ო რ ვ ა ჯ რ ე ბ ს — კლიენტურის მოსპობას!
 ა ხ ა ლ ბ ე დ ა ს ზ ო რ ტ ს მ ე ნ ე ბ ს — საკუთარ სა-
 ხელს არ ამოფარებოდნენ.
 დ ა ჩ რ დ ი ლ უ ლ ე ბ ს — სხვათა ჩრდილში დგომისა-
 გან თავი დაეღწიოთ!
 ა ვ ი ს მ ქ ნ ე ლ ე ბ ს — სიკეთის ძალა ერწმუნოთ!
 დ ო ყ ლ ა პ ი ე ბ ს — სიფრთხილესა და სიფხიზლეს!
 მ ძ ი ნ ა რ ე ბ ს — ახალი წლის მოსვლა მაინც არ გა-
 მოპაპრვოდეთ!
 კ ა რ ი ე რ ი ს ტ ე ბ ს — დაქვეითებას!
 კ ე რ ძ ო მ ე ს ა კ უ თ რ ე ე ბ ს — საკუთარი საერ-
 თოსაგან გაერჩიოთ!
 მ ო ღ დ ი ს მ ი მ დ ე ვ რ ე ბ ს — ქორვაკრებთან კონტა-
 ქტის მოსპობას!
 კ ო ნ ს ე რ ვ ა ტ ო რ ე ბ ს — ახალ წელს მაინც გაელ-
 ვიძებინოს მათში სიახლის გრძნობა!
 ა ნ ო ნ ი მ ი ს ტ ე ბ ს — საკუთარი ვინაობა არ დავიწ-
 ყებოდეთ!
 ლ ო თ ე ბ ს — ახალ წელს მაინც შეხვედროდნენ ფხი-
 ზელნი!



ნ.ბ. მ. აბაშიძისა

ალგანჯორ თაბაძე

... მე შენ ხომ ერთი წლის წინათ ვაგისტუმრე?!

პესთან „ოჯალეს“ მჭიდრო ალყა ერტყათ.
 დანარჩენ სივრცეზე ხინკლის ორთქლი იყო
 ნისლად გართხმული...

მე, როგორც მხედართმთავარმა, ტაქტი-
 კური ხერხი ვიხმარე — ჩემი ინტერნაციო-
 ნალური შემადგენლობის სტუმარ-ამკლებებს
 მათი გემოვნებისათვის უჩვეულო ზღუდე-
 უბი აღვუპართე წინ: რუსებს, ბელორუსებს,
 უკრაინელებსა და ბალტიისპირელებს კვა-
 წარახის, მაშარაბისა და აჯიკის ლაშქაქები
 გაუუწკრივე საწებლებად და შემწვარი წი-
 წილი და სულუგუნი დაუწყვე გვერდით, თან
 ვაკვირდებოდი, თუ მისხედებოდა, რა რას უნ-
 და დააწონ-მეთქი; მომდევნო ზღუდედ
 ფითის, ჩანახისა და თათარიანის ჯაშუბი
 ჩაუდგვი; იეზიდებს, აზერბაიჯანელებს, სო-

მხებსა და ჩეჩენ-ინგუშებს ვინეგრეტი, პელ-
 მენები, ქაშაყი კარტოფილით, კარტოფილი
 მუნღირში, სორცინი ბორში, სოსისი ძლო-
 გვითა და სარდელი მკავე პიკულით მივარ-
 თვი.

შინაურებსაც მოუწყვე პატარა გამოცდა:
 ლისტომერებს საშლამა, ჩაქაფული, ხინკა-
 ლი და ყაურმა დაუდგვი, ლისტომერებს ლო-
 მი სულუგუნით, ვარიკები ტყემლით, დედ-
 ლები ნიორწყლით, საცივი და ჩახოხნილი
 შევაგებე.

დაიმედებული იმით, რომ ისინი ასეთ
 ზღუდეებს ვერ გადმოლახავდნენ, რათა
 შუაგული სუფრისაკენ გამოჭრილიყვნენ, არ-
 სეინად მიუეჯექი მაგიდას.

როგორი იყო ჩემი ვაოცება, როცა შევნი-
 შნე, რომ ყველა დიდი გამბედაობით ატ-
 რიალებდა დანა-ჩანგალს და მადიანად ილუ-
 კებოდა. შიგადაშიგ ისმოდა მოწონებისა
 და აღტაცების შეძახილები, როგორც ცხარე
 საწებლების, ასევე მისატანებლების მისამარ-
 თით.

რა ეს ვიხილე, ისევე ვუყვივე ჩემს ხელ-
 ჩამჩიან, ხელქაფქირიან, ხელსუთიან, ხელ-
 თეფშიან და ხელბოთლიან ლაშქარს, ყველა
 მხარეს ხელწავიანად ჩავაგებე.

ასლა კი გატყდნენ ამკლებნი, უკან დაი-
 ხიეს — სკამების საზურგეებს მიაყუდეს
 ზურგები, თითო-ოროლა თუ გამოიჭრა მა-
 გიდის შუაგულისკენ გოზინაყ-ნამცხვარ-ტორ-

ტის დასალაშქრად, თუმცაღა მალევე უკუდ-
 გნენ ისინიც და ყველამ ერთად ინტერნა-
 ციონალური სუფრული — „სულიკო“ წამოი-
 წყო.

ეს სიმღერა ჩემი გამარჯვების პიზნად ჩა-
 მესმა, რადგან უკვე დავრწმუნდი, რომ სა-
 ახალწლო სუფრაზე, რომელიც ნიკოფსიდან
 დარუბანდამდე იყო გადაშლილი, ყველა გზა
 „სამანმელიოდ“ „ნაბეღლავ“-„ზვარე“-„მიტარ-
 ბიზე“ გავლით „ბორჯომისაკენ“ მიდიოდა.

ელგუჯა მერაბიშვილი

ილუსტრაციები X. ლოლუასი



გარეთ გავუძახოთ!


იტალიელებს ერთი საყურადღებო ჩვეულება აქვთ: სანამ ახალი წელი სახლის კარებს შეღებდეს, ისინი ყველა ძველმან ხარახურას გარეთ ყრიან ქუჩაში.

ურიგო არ იქნება, ჩვენც დავამკვიდროთ ანალოგიური საახალწლო წეს-ჩვეულება. ოღონდ მატერიალური ნაგავი კი არ გადავყაროთ ქუჩაში და არ დავანაგვიანოთ იგი (სამწუხაროდ, ეს უწესო ჩვეულება აქა-იქ უკვე დამკვიდრებულიცაა), არამედ სულიერ ნაგავს ვავუძახოთ გარეთ! ცხადია, ვისაც რა შემოგვრჩა.

მაგალითისათვის დავასახელოთ ზოგიერთი ასეთი ნაგავი: ღვარძლი და შური — სულის უნგი და მური; წამნედურობა — უკეთურობა და უმადურობა; მექრთამეობა და გამომძალველობა, ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი; მუქთახორობა — წურბელობა და ღორობა; ბედოვლათობა, უყაირათობა, უაზრო გართობა, უზომოდ დათრობა; უგერგილობა და გულგრილობა; ანგარება, სიხარბე, ეგოიზმი და სიყალბე; ისევ გულგრილობა და ცუდ-მედიდობა; მომხვეჭელობა (გარდა სახელისა), კარიერიზმი, ზვაობა და ცინიზმი; სიცრუე და ორბირობა და სხვა ოხრობა და ტიელობა!

გარეთ გავუძახოთ მათ, სადაც რა შემორჩა, — რაიცა „ვნებს ხორცსა, მერმე სულსა“. ამით ხორცსაც ეშველება და სულსაც! აბა, თქვენ იცით!..

კეთილმოსურნე




— კიდევ მეტყვი, ცული ფეხისა ხარო?!

საახალწლო დალოცვა

სიტკბო მოგვცეს, სიმწარე გვაშოროს!
მშვიდობა მოგვცეს, ფლიდობა გვაშოროს!
ძეობა და ასულობა მოგვცეს,
სეტყვა და ზვაი გვაშოროს!
ავ-კარგის გარჩევა მოგვცეს,
ავი ზნე-ჩვევა გვაშოროს!
სწავლა-შრომაში ხუთები მოგვცეს,
ყალთაბანდები და ქურდები გვაშოროს!
სპორტული თასები მოგვცეს,
ბედოვლათები და თარსები გვაშოროს!
მაღალშაქრიანი ღვინო მოგვცეს,
ჭაჭა-შაქრისა — გვაშოროს!
ნაზი ღუყის ჩაი მოგვცეს,
თევზა ფოთლისა გვაშოროს!
ცაცხვის თაფლი მოგვცეს,
ცარცისა — გვაშოროს!
სიტკბო მოგვცეს!..
თავისით არავინ არაფერს მოგვცემს!
ჩვენ უნდა მივცეთ ერთმანეთს, ქვეყანას!
თვით უნდა მოვუაროთ ჩვენს თავს, ჩვენს
ყანას!

თვითონ უნდა ვიმარჯვოთ!
გილოცავთ ახალ წელს!
ყველა ჟეთილ საქმეში გავიმარჯვოს!
მ ე კ ვ ლ ე

ნახ. ი. პინაშვილისა



უსიტყვოდ



სხარგულაპი

ქართული
პენსიონთა

ბერბიჭები

ტანად, თვალად უნაკლონი,
მშვენიერნი, გეფიცებით,
ქართველობას მოუმრავლდა
უცოლშვილო ბერბიჭები..


რაც ჭური და რაც კახტაა,
ვიციო, ვიცნობთ ზედმიწევნით:
სიწმირად ნიშნებს უცინიან
თმაჭალარა ბერბიჭები..

კარგი ბინა, სამსახური,
ჩიტის რქეც კი არ აკლიათ,
ცოდნაც აქვთ და დიპლომებიც,
მხოლოდ ალღო დაჭკარგვიათ!..

ერთ დღეს თავი მოიყარეს,
აქეთა თქვეს, იქით მიდგნენ,
გადაწყვიტეს: საახალწლოდ
ყველა ერთად დაქორწინდეს!..

დედის სული დაიფიცეს,
ნავს გატეხნო, გვიპირდებიან!
დავუჭეროთ ამ ბერკვიცებს,
მართლაც დაქორწინდებიან?!

ამირან მიჭაუტაძე
(ქ. სოხუმი)



ზარმაცი

მას სურს აიღოს ორივე ხელით
ლუდი ცივი და ხინკალი ცხელი,
საქმეს კი, საქმეს (როდია „ხელი“)
არ შეეხება არც ერთი ხელით!

გვჯერა, ამ ზარმაცს სიკეთის მქნელი
გამოასწორებს ახალი წელი!

ანგარი

სტირდები? — იგი შეგამჩნევს მაშინ,
ბორცვიც რომ იყო, მწვერვალი ხდები!
არა სტირდები? — შენ იმის თვალში,
მწვერვალიც იყო, უჯვალოდ ქრები!

მის ანგარებას ეს წელი, გვჯერა,
ზომიერების გარდაქმნის ფრთებით!

უპიცი პრიტიკოსი

ვერ არჩევს ლექსის ბგერებს და ფერებს,
თუმც ლექსის პწკარებს წკებლავს და წკებლავს!...
თვითონ ვერ „შექმნა“? — რა უშავს მერე,
ადვილ არს სხვისი შექმნილის „ჩხრეკა“.

ახალი წელი ასწავლის მასაც
ცოდნის სიმებით სტრიქონთა შეკვრას!

კლავბატორი

თავის ცას სხვისი სხივებით ითვლის
და ლექსშიც სხვისი სიტყვებით იწვის!..
და როგორც ბავსი, სოკო თუ ფითრი,
სხვისი ნაღვლით საზრდოობს მიწყვი!..

ახალი წელი დამომღვრავს მასაც,
რომ თვითმყოფობის ალავსოს სიბრძნით!

გიორგი ზვითაძე

ერი ამრავლეთ. ქალბო!

ქართველმა დედამ მამულის,
ერის წინსვლისთვის დაგბადათ!
ზოგ თქვენგანს გართობისათვის
ვხედავ, გახსნილი გაქვთ მალა!..

დედამ ქართველისამ აღრე თუ
ცხრა ძმის აკვანი არწია,
შვილს ზრდიდა, მტერსაც ებრძოდა,
ვითარცა მამაკაცია.

თქვენ რა გეტაკათ, რა მოგდით?! —
გადაპუოლიხართ „ფიგურას“,
„კონოს“, „შამპოს“ და სიგარეტს
მისძაღლებიხართ ჭიჭურად!..

მრავალ ახალ წელს გისურვებთ
სამშობლოს სანაცვალეობდ!
უბირველესად, გახსოვდეთ,
ერი ამრავლოთ, ქალბო!

ნანა ჯაჯანაშვილი



ურავები

● ახალმა წელმა თქვა: ზოგიერთები ყველა-
ფერს მე მთხოვენ, საკუთარ თავს კი — არაფერსო.

● ძველმა წელმა უთხრა ახალს: წარსულს
ვბარდები, მაგრამ მომავლის მსახურად ვრჩებიო.

● მლიქმველს ჰკითხეს: ახალ წელს მხიარუ-
ლად რად არ ხვდებიო და — უფროსს რომ არ ეწყვი-
ნოსო.

● მბრტყნელმა კაცმა თქვა: საკუთარ სახლში
მეკვლევ მე ვარ, მახარობელიც, მასხინძელიც და
სტუმარიცო.

● ძველმა წელმა უთხრა ახალს: სად ხარ?
სულს ვლევ შენს მოლოდინშიო!


● ახალ წელს ჰკითხეს: მომხმარებელი რო-
გორ გავალდლოთ და — ხარისხი ავამაღლოთო.

ა. გურული



ნაბნუნს "საქაქიმე" შიქოიკურა

საქაქიმე
იხლირიძე




სუბა ბერსულებს

შენი პირველი ლექსები, სურა, სულ სიმღერებზე ატეო ხალხში ახლეს მიხევე! სამშობლოს ვულოან და მის საკვარელ პოეტზე დგხანი!

...შენ შობილი ხარ იხეთ ვარსკვლავზე, ვარ ნაქაქიმეში — ხელ "კაქაქიმეში".

ვარ და ვიქნები შენი შემქმნი, სახსლავარი თუბლარის! შენ ზეჯითი ხარ, შე კო... შე - ქვეჯითი და შენი ღვთისმ ურალითი ვხაროში!

ვლოცავ მაღალ ღირსველ გილობს, ნადურ შილავაქვე მამულსულო! შენგან პატარა მალაჩის ვიხიოვ და ვებჯეუხები, არ ვამაქნილი!



ბაბაი გავმრელების

დაუკრობელე მწერავლია გავჩრეულია, ვინც მის დაქვრობას დაიპირებს, — ვამწირავლი! სიტყვა აბახვარ აწილით, არწიველი აქვს, სულ მაღალ დადის! დამბა აღბით არე კო უკული! შევიძრებებს და მწერლობის შამილი არის, — ვუჭრის შეუძრავებს მას მოპვრობას უმადლარებელს! გავჩრეულია მ წარმავალი შრავალი წამი დაჯივანი და წარუვალებ დეო კო უკული! დიდ ძალისხმევით მიადრია უნივერსალიზმში! მისი პირტრეტი, სრული, ეს არის!

ოთხ ტომს აკაკი აწერია, გავჩრეულია, რითხვე ტრითი ღრმამაწირვინდე დაწერილია!



მერაბ ელიოზიშვილს

აგერ პეპერ მებურსნეებს მოხვეთ თეთრი ქარავანი... ხარობს ულიოზიშვილი — მუვე სიტყვის ფილავანი!

ჯერ თებერი დახსიო და მეტე კობის მეტრების... სიკვლავს კარი ღვრისა — ღარჩა უკვდავ მეტეკლად!

მწერლობის დიდ მწვანე ველზე თავის შერას მიადრელებს! არის წესი თანამედევი — ტანად დევი ნინაველი!

წელს მეტრადი მე ვერ ვნახე; კახლის იყო მეტრანხედე! და მეტეკვარე-შობილხელ არის ახლა ნოღიბე!



ანა კალანდაძეს

ქროიოლის მტარში აკვანი ვევი, მან ხელის მტარება აკვანი იფის! ანა კალანდაძე

"შენს ღიმილი ბაღინა ციპან, ვარდს აღზიფა მინა საყოფარი", — როცა იშვა დეკაბრითი ანა და აკვანი აკვანება წარია!

ლექსის შიდაგანსვლითი ციდან ნამოყრინა და მის კალანდაძის... ლეივანი კოხით შეჯება, მიღეს, დახარვებოთ ანა კალანდაძის!

ვეგობრული შარკი მ. შირმსხალაძის



ოლად დოლიძეს

საქართველოში — მტკიცისებრ და რუსეთში — ვოლან-ფონისებრ ქუხდა და ახალსებზე უბრტყობს ილდე ღოღოლი! ხელ წელს რისხხხედა დრეცხება, "არ უბინა ლეივინე". შილდე საბჭოთა კავშირი აქვს კონტრებებით მივლილი და არის უბრტყელი თაბისი იფორიებითი უკრობე ილდის, დილდულს, არტისტს მართლად და სახალისი, კოდე რითხვე წელს დიფილესი, კლავდე სიცილითი დეჯივინის!

ვეგობრული შარკი მ. შირმსხალაძის



ოთარ

მამფორიბის

მამფორიბების ნამწიქლებს იხერი და იფორის ჯიფინებს ანთებ, გაქვს პომერული სიცილი სისხლში — დიდებულ პოეტს, ღრამბტურებს, ჯიროველებს!

შენი სიბილდის ჭირიმე, შენი! მაოი! გეხისი! უწინდ ვერ ვტლებ... დამბტვე შენი შრრუნული ხელი, შე დამბტურებს ცირიულ გავრელებს!

ვეგობრული შარკი მ. შირმსხალაძის



მხსტანბ ბერიძეს

მუნესხვარის, წახმაღლის ძეს დიდებულე შილოის, უჭრის ვიწუხა, ვნა და ეთი ნელსხე ვერვინ უფიას!

ფიდავს ქართული ერის მხეს, მის ხელუბნებს ჭეჭულ უფაშს, ამირომ კანტანა ზეჯითი მადლიერ ქართულ ერს უფარის!

უწვი შიხალთა მწერობის — შიმიჭო რიკი დიდას! ფლობს თილი და ხალას იფორის, ნატავს შევიბრულ შარვებსა!

ამწვინებს კიბაბა ირღვხვალს, მიწუნდილ ცისებრ ზეჯინებს და — დიდახე რკვე შეჯინებს — ღმრთი ურჯავს პირდავ!

ნინების დედალები — ნაწურ გულქაძე! ვეგობრული შარკი მ. შირმსხალაძის

მივლინებიდან ორი დღით ადრე ჩამოფრენილმა თბილისის აეროპორტიში დაშვებულნი, რომ ბინის გასაღები შინ დამეტოვებინა და, რადგან გასაღები მისი მორეკომენდებული ცოლს დაჰქონდა, მესამე კი — შვილებს, დღის ბოლომდე ოჯახურ კერას მოწყვეტილი ვრჩებოდით.

ხუმრობა იქით იყოს და, საგონებელში ჩავვარდი. სამუშაოზე გამოვცხადდე — ბრძენი ყოფილავ, იტყვიან; აბა, რომელი ჭკუათმყოფელი მიჩერჩიტდება ქარხანაში დადგენილ ვადაზე ადრე, თანაც ოცდაათ დეკემბერს — წინასახალწლო ციებ-ცხელების დღეს?!.. ვერც მეუღლეს მივაღებო სამსახურში ასე — მტრის ქვეყანაში გადასროლილი გუდაშვიდი დივიზიონით!

არადა, ექსპრესში გამოვჩემული, ნიავეარიკით მივეჭრი თბილის-ქალაქისაკენ და სასიკეთო ვერაფერი მომიხაზრებია.

ორთავალქეს რომ გავუსწორდით და მტკვარგამა გორაკზე წამოვჩემულ საზღიშორიტოლებს სასახლეს შევავლე თვალი, ანაზღადა საუცხოო იდეა მომივიდა თავში: თავისუფალი დროით მესარგებლა და ძველი თბილისის ის განახლებული უბნები მომეველო, რომელთა ნანვა მოუცვლელიობის გამო აქამდე ვერ მოვახერხე.

ამასობაში ბორცვზე წამოკსუებული ბედნიერების სრა-სასახლე უკან დაგვრჩა და მისი დათვალიერებაც იმ დროისათვის გა-

დავდე, როცა ვინმე ახლობელი საქორწინო ცერემონიაზე დამპატივებდა და საზღიშორიტოებით მიმიყვანდა იქ. ათასწრად აბრწყვილებული, რომლის განასახლება-გალამაზება სწორედ საქართველოს ამკლებ-ამაოხრებლის — თემურლენგის ქვეყნიდან მოწვეულ ოსტატებს სვდათ წილადა!.. არა, ნამდვილად კმაყოფილი ვარ, რომ გასაღები შინ დარჩა, მე კი — გარეთ. ზოგი ჭირი მარგებელიაო, სწორედ ამაზეა შედგამოჭრილი.

გასული საუკუნის პირმშოს, ქართველ ოსტატთა მიერ პირვანდელი სახით აღდგენილი შარდენის მინიატურული ქუჩის გავლით მივემართები მხარბჭიანი ქარვასლისაკენ, სადაც ყველანი თბილისის ისტორიის, ქალაქური ყოფის, ზნე-ჩვეულებების ამსახველ უნიკალურ მასალებს.

ქარვასლის სარდაფის სართულზე, სავაჭრო ჯიხურებს შორის განთავისუფლებული გრამფირფიტების სალონის დანახვაზე, უცრად მეუღლის დანახვები მასხენდება, მოსკოვს წასვლის წინ რომ ჩამიწერა უბის წიგნაკში. წიგნაკი ვშლი და, ვინ დათვლის, მერამდენეჯერ ვკითხულობ:

1. „აერობიკის“ გრამფირფიტა.
2. მიქსერი.
3. ჯინსები (ბავშვებისთვის).
4. „სალამანდრას“ ფირმის ფეხსაცმელი-ბი (შენთვის).

— ჯივარო! — ამეკიდა შუბლზე კარტუს-ჩამოფხატული, პირგაუპარსავი უცნობი, რაიმეს შოვნა ხომ არ გინდა?

— დიან, ამ ნივთების, ვერცხვებზე ჩვენს წერს, — მოსკოვშიც კი ვერსად წავაწყდი!..

კისერწარბებელი უცნობი ტუჩების აი, სხვა ერების, მათი საკულტო ძეგლების მიმართ დიდსულოვანი მოპყრობისა და პატივისცემის გამოვლენის თბილისური ფენომენის კიდევ ერთი მაგალითი!

სულიერად რომ დავნაყრდი, ახლა კუჭმა შემასხენა თავი.

გემრთილი პურის ჭამა თბილისში არასოდეს ყოფილა პრობლემა. ხაში თუ ხინკალი.. ბოზბაში, ყაურმა, ხარჩო თუ ჩანახი.. კუპატი, მწვადი და ლულა-ქაბაბი.. ბორში და კატლეთი, სოსის-სარდელი, ღვეშელი, და ჩებურეკი!..

მე ავდექი და ანჩისხატის ეკლესიაზე მიშენებულ სასაჭაპურისაკენ ავიღე გეზი. სასაჭაპურიდან დახურულ ბაზარში გადავიხანცვლე. მივივლინებიდან მორჩენილი ფულით ხილი და ჩურჩხელები ვყიადე, ჩემოდანში ჩავაწყვე და ჯიბეგამორეკილი საბურთალოსკენ მიმავალ ავტობუსს შევხატი.

ავტობუსი ისეა გაჭედოლი ხალხით, სულს ვეღარ მოითქვამს კაცი!.. უფრად ვიგრძენი,

მივლინება მშობლისკენ

წინასახალწლო მიმოსილვა

ჯერჯერობით კი მეტების უბანში ჩამობტომა ვამჯობინე და მსუბუქი ჩემოდნით — „დიპლომატი“ ხელში დავადექი აშპაშხანისკენ მიმავალ გზას.

ესეც სახელგანთქმული აბანოთუბანი! „ტფილისის დის ცხელი წყალი კლდიდამ, არს მით აბანონი ექვსნი და დიდშენი...“ — მეგზურობას მიწვევს ვახუშტი ბატონიშვილი.

დანახვისთანავე მეცნაურა გაზეთებში და ტელეკრანზე მრავალგზის ნანახი ხედი: მიწიდან გვერდიგვერდ ამოზრდილი გოგირდის აბანოების გუმბათები და მათ მიღმა, ნარიყალა ციხის სილუეტით დამშვენებული მთის ფონზე, ნაირფრად მოხატული აივნებიანი კოპჩია სახლები...

მაგონდება დიდი რუსი პოეტის ალექსანდრე პუშკინის ჩანაწერები არზრუმში მოგზაურობის შესახებ; კერძოდ, ის ადგილი, რომელიც თბილისური აბანოებისადმი მიძღვნილი და მიხარია, რომ ხელმადლიანმა ოსტატებმა, როგორც იქნა, გამოავლინეს დედაქალაქის ისტორიული ცენტრი, გული, საიდანაც სათავეს იღებს თბილისის მდიდარი ისტორია.


მართალია, ჯერ მხოლოდ აბანოთა გარსება ალდგენილი და არც დაკარგული წყაროებია მიკვლეული, მაგრამ ქვას ვახუშტენ და მიავებენ! მიწის წიაღიდან ამოქაჩავენ გოგირდოვან ცხელ წყალს და გაუკაცრიელეულ აბანოებს კვლავ დაუბრუნებენ უწინდელ ცხოველმყოფელობას! ამის საწინდარია თუნდაც ორბელიანთა ეს ჭრელი აბანო, ერთ დროს ფერამკვდარი და სამოსელშემოძარცვული, ახლა კი საამოდ ნირშეცვდილი და

ცმაცნით კითხულობს და მცირეოდენი დაფიქრების შემდეგ მეუბნება:

— რუბიკის პლასტინკისა და მიქსერის რა მოგახსენოთ!.. ჯინსების შოვნა კი შეგვიძლია — თავდა ვკერამთ იმპორტნი მატერიისგან. ტუფლებსაცა — გინდა ქალის, გინდა კაცის... ზაკაზად!

ამით მთავრდება ქარვასლაში ჩემი კალმასობა.

ღვთისმოსავთა დაწესებულებებში შესვლა კი ვერ გამიბედავს. ღმერთმა ნუ ქნას საზღალო დროს ეკლესიაში შესული მხანოს ვინმე. თანაც მივივლინები მოწმობით ჯიბეში!.. შორიდან ვუჭვრეტ ქართულ და სომხურ ეკლესიებს, რუსულ სამრეკლოს და ებრაულ სინაგოგას... თურმე მუსულმანური მეჩეთის აღდგენაც განზრახული ჰქონიათ!



ვილაცა ვადმონაშით პალტოს ჯიბეებში მიფათურებს ხელს!..

„ანარქიზმი!.. ევზოტიკა!.. რეტრო!..“ — ვცდილობ, რაც შეიძლება უწყინარი კვალი-ფიკაცია მივცე ამ უვნებელ აქციას, უწინბელს იმდენად, რამდენადაც ჯიბე ცარიელი მაქვს.

და, აი, უკვე ნუცუბიძის პლატოზე ვარ, ჩვენს ახალ საცხოვრებელ რაიონში. აქ ყველაფერს წინასახალწლო სურნელი ასდის: ათასნარი ნაყარნუყართა და სამშენებლო ხარახურით მოფენილ ფერდობებს, მეგზოვთა მიერ დაწვის მიზნით შექუჩებულ მხრჩოლავ ნაგავს, აივნებზე გადმოფენილ, საბერტყის ცემით მტვრის ბუღში გახვეულ ფარდაგებს!.. დამრეცებზე არიგებულ-ჩარიგებულო, სამშენებლო ტექნიკის უდაბლეს დონეზე ნაგები მალღივი კორპუსების ზედა სართულებიდან მფრინავი თეფშებივით მოფრინავენ ნაგვითა და საჭმლის ნარჩენებით დატენილი ცელოფანის პარკები!.. უპატირონ ძაღლების სროვა დასველია ვაზონებში ჩაყრილ ცხვარ-დეკეულის შიგნეულს!..

სანოვავით სავსე ხელჩანთებითა და დასაკლავად განწირული ფრინველების თრევით არაქათგამოცლილი დედაკაცები ხვნეშით მიჰყვებიან ფერდობებზე დაგებულ კიბეებს; ნიორ-ნაირ სპორტულ პიჯამოებში გამოწყობილი მამაკაცები იქვე შინაბოთა ცხვირწინ, შლანგებით რცხვვენ საკუთარ ავტომანქანებს!..

ბედნიერ ახალ წელს ვისურვებთ, თანაშლათელებო!


გურამ შარაშიძე



— ახე როგორ ჩამოგრიჩით, სახალწლოდ პრემიასაც რომ აღარ გვიტოვებ?!



— აჰი ვითხარი, ამ ოჯახში ჩემი მოსვლა უფრო გაუხარდებათ-მეთქი?!



— მზად ვიყოთ, შვილებო! აღბათ სახალწლოდ ცეცხლს წაგვიკიდებენ!..

ბედნიერი ხუთიანი ყოფილყოფილი

(რჩევა-ღარიგებანი)

ახალი, 1985 წელი ყველაზე ადრე მე მოგილოცეთ, ძვირფასო მკითხველებო! ეს იყო ზუსტად 31 დეკემბერს, 12-ს რომ ხუთი წუთი აკლდა! ხუთი მეზობელი მომვარდა ერთდროულად შეკვლედ, თვალის დახამხამებაში ხუთი სადღეგრძელო მათქმევიწეს და უცებ გავარდნენ გარეთ. დაგლოცეთ თქვენ, სუყველანი და მერე ტელევიზორანზე ერთი გამოსახულება ხუთად მეჩვენებოდა. მას შემდეგ ოთხმოცდახუთჯერ მაინც მეყოლებით დალოცვილები!

ძვირფასო მამაკაცებო!

ხუთიანზე ჩაგეტარებინოთ სახალწლო დღეები და ეს 85 წელიც! ხუთკაცს არ აეყვანოთ სადარბაზოში (უმჯობესია თვითონვე დაოთხილი და სულშეხუთული მიხვიდეთ შინ!).

თუ გსურთ, სამსახურებში კარიერა შეიქმნათ და დაწინაურდეთ, კოლექტივში მეხუთე კაცი თუ მაინც არა ხართ, სჯობს სხვაგან გადახვიდეთ სამუშაოდ, თორემ რა იცით, იმ ოთხ კაცს როდის მოხსნიან?!

თუ ბედმა ოთხჯერ გიმტყუნათ, მეხუთედ ნულარ შეერთავთ ცოლს და კიდევ ვიღაცის ცოდვაში ნულარ ჩადგამთ ფეხს! (ან თავი შეიბრალებთ, ან — სხვა!).

თქვე ოჯახაშენებულეებო, სუფრასთან რომ ჰყვიროთ, ცოტანი ვართ ქართველები და ერი გავამრავლოთო, ერი მარტო სადღეგრძელოების თქმით კი არ მრავლდება! თითოეულმა ხუთ-ხუთი შვილი მაინც იყოლიეთ, „ჭიგულებსა“ და აგარაკებზე რომ ხართ გადაყოლილნი!

თუ დაწესებულების ხელმძღვანელი ბრძანდებით და თანამშრომლებს პირველ კვარტალში რაიმეს შეჰპირდით, მეოთხე კვარტალში მაინც აუსრულეთ მესამედი, თორემ მეხუთე კვარტალი აღარაა წელიწადში!

თუ ქვეშევრდომი ხართ და გინდათ დაწინაურდეთ, დღეში ოთხმოცდახუთჯერ წელში ხუთად მოიკეცეთ და ოთხმოცდახუთი ბოდვის მოხდით შედით უფროსის კაბინეტში. ეს თქვენი ჯანმრთელობისთვისაც კარგია და კარიერისთვისაც!

თუ ახალგაზრდა ხართ და საცოლეს პირველად უხსნით სიყვარულს, მისი თავბრუს დასახვევად და ჰკუდიან შესაშულად თავდაპირველად ხუთი სიტყვაა საკმარისი: „**მაქვს ბინა, ფული, ვოლგა, აგარაკი!**“ თუ ქალი მთლად გიყი და სულელი არაა, მისი აფართქალეხული გული ხუთ წუთში თქვენ გეკუთვნით (რასაკვირველია, თუ გული აქვს!).

უქვირფასესო მანდილოსნებო!

თუ გინდათ, ქმრები დაჯაბნოთ, თქვენს ჰკუაზე მოიყვანოთ, თქვენს დაკრულზე აცეკვოთ და, რომ იტყვიან, „ოთხში ამოილოთ“, ახალ წელს აუცილებლად ენა დაიგრძელებთ ხუთი მტკავლით ან ხუთი არშინით, თორემ მთელი წელიწადი იქნებით უენოდ ანუ უნაჩავარდნილები!

თუ სახალწლო დღეებში ქმრებმა საჩუქარი არ მოგიტანათ და თვითონ ძლივს მოიტანეს, ხუთსაათიანი წყევლის დროს გამოიყენეთ ხუთსიტყვიანი წინადადებები: „**შენ დალიე ცეცხლი, ნავთი, ბენზინი!**“ „**წაბრძანდი მასთან, ვისთანაც წუხელ ჩაცეცხლდი!**“ „**გასკდა, გაგჭა, გაიფხრიწა შენი მუცელი!**“ „**ღვინოში განახე ძალიან მალე ჩამხრჩვალი!**“ „**დაექცეს ოჯახი, ვინც სასიკვდილოდ გაგიმეტა!**“

ქმრებს ბაზრიდან ხუთმაგი ტვირთი აჰკიდეთ, თქვენ კი ცარიელნი წამობრძანდით! ნახონ ვაჰბატონებმა, რა მიძიმე ყოფილა ქალის ტვირთი!

მეტს აღარ შეგაწყენთ თავს და ხუთი სიტყვით ვამთავრებ თქვენთან საუბარს: **გილოცავთ ბედნიერ, ლამაზ ახალ წელს!**

განო ცინცაძე

გაღადა მეფუტკრეზე

ლადაო ქვარაძის - ცნობილ მე-
ფუტკრეს!


მულჩაუსრელად ფუსფუსებ
დღემუდამ ზაფხულ-ზამთარი
და მილიონი ფუტკარი
გისმენს „სმენაზე“ დამდგარი!
თანამედროვე პრომეთე
არ იღვწი მსოფლო სახლისთვის, -
ფუტკრებს თავს „სტაცემ“ ტონობით
და მივაქვს შენი ხალხისთვის!
არასდროს შათ არ პატიობ
„მუშაობაში ხარვეზებს“
ყვაკილზეც კი არ სსდებიან
შენი ნებართვის ვარემუ!
ყველა გაფასებს! ბაგბაგა
დათხსაც თაფლივით სწეურხიარ,
პრომეთესავით „დაგვაჯვს“ -
ფუტკარზე მივაჭვული ხარ.
მასხოვს, შარშანწინ, ვლადიმერ,
შენ რომ პროფესორს უთხარი:
„აბა, თუ იცი, ერთმანეთს
თვალს რად არ უკრავს ფუტკარი?“
ვერ გიპასუნა, გაშრა და
შემოვაცქერდა სიპიტო,
შენ ჰკადრე: „რატომ, ბატონო? -
არ სცალიათ და იმიტომ!“
სახლში ვერავინ ვერ გნახავს,
გვიცქერი ფუტკრის ბინიდან,
სიტყვის მაგივრად ყოველთვის
თაფლი ვადმოვლის პირიდან!
ძველი „ვილისი“ განუქვს,
ყველა მოშურნეს ჯინაზე,
რომც არ დაქოქო, წავა და
მაინც მივიყვანს ბინაზე!..
გაქვს კარგი კაცის სახელი,
გყოფნის და მეტსაც არ ცდილობ,
შვილიშვილისთვის ბაბუობ,
ფუტკრებისათვის - ყმაწვილობ!

ლამის გავვივდე ნამდვილად
კაცი - ამისი მნასველი:
იცის სუყველა ფუტკარის
არა თუ გვარი, - სახელიც!
- „თაფლივ, დღეს არ დალიო,
უნდა გაფრინდე ილოსთან!“ -
დგას დარცხენილი ფუტკარი,
კით ჰვიანჭველა სპილოსთან.
- „შენი რიგია იცოდე,
მიტომ არ ვგზავნი დათას ჯერ!“
შვილივით უყვარს ფუტკრები,
თუმც უკებნიათ ათასჯერ.
ვუსმენ და, სწორი რომ ვითხრათ,
გულზე მჭირდება საფენი,
ფუტკარს კი არა, არ ვმაღავ,
მე მეშინია ვაფრენის!..
საქმეზე შეყვარებული
ფუტკარს პატრონობს ტყე-ველად,
თვლის ნათესავად, მოყვარედ,
შეგობრად, ჯვარის შემცვლელად!
ტომ სევერინს ჰკავს ბუნებით,
არგოს თლის, არის მდიდარი,
სურს ლანჩუთიდან ჩავიდეს
თბილისში თაფლის მდინარით!..

დღეს, სახალწლო სუფრასთან,
ზეღიზედ ათობ მიჭებსა!..
არც მიკვირს! - შენ ვინ ვაჯობებს
კაცს, თაფლზე ნავარჯიშებსა!
გოლოცავ, ლადო, ახალ წელს!
კისურვებ ახალ „ნივასა“!
ვინც შენზე კარგი არა თქვას,
პიკა უკბინოს იმასა!..

ჯემალ ქვარაძისნილაძე

ნახ. ი. ყვინაზვილიძე
ეროვნული
ბიბლიოთეკა



უსიტყვოდ

მოადგილის სახალწლო მონოლოგი

...ორი კილო დოში, ორი - ზურგიელი, სუთი - ზუთხი,
ცოცხალი სამი-ოთხი კილო, მეტი რა უნდა! ორი კილო წითელი
ხიზილალა და ორიც - შავი! მე მგონი, საკმარისია!.. ჩავწერთ ხი-
ზილალა ოთხი კილო, თევზეულობა... ას ოცი, ორასი, სამას ორ-
მოცდაათი... ოთხასი მანეთი! ამას დათიკო იშოვის, თუ თავის
ფასში იშოვა, ასზე მეტი არ დაჯდება. ყოველი შემთხვევისათვის,
ოთხასი ვიანგარიშით! ლობიო, ჯონჯოლი, მწიღლები, კიტრი, პა-
მიდორი... ეს ბაზარში - ასი მანეთი! სუკები, ხორცი, გოჭები, ინ-
დაურები, წიწილები, კუჭმაჭი... ესეც - ბაზარში... სამასი მანეთი!
ყველიც: გუდა ერთი თავი, სულუგუნი... სუთი თუმანი!.. ესე იგი,
ზაკუსკეულობა არის, თევზეულობაც არის, მწვანილი, ბოსტნეულო-
ბა არის! კიდევ რა გვინდა?.. ხილიც, ვთქვათ, ორმოცდაათი! ესეც
შენი ცხრასი! ღვინო კაცზე სუთი უნდა ვიანგარიშით! სუთჯერ
ორმოცდაათი - ორას ორმოცდაათი! ესეც - სამასი! „ბორჯომი“,
ლიმონათი - კიდევ ორმოცდაათი! ესეც შენი ათას ორას ორმოცდა-
ათი! წითელი ღვინოც უნდა იყოს - ორასი მანეთი! კონიაკი, არაყი,
იქნებ შამპანურიც ესამოვნოთ - ესეც შენი ორასი მანეთი! სულ
ათას ექვსასი მანეთი! ნამცხვრებსაც შევუკვეთავთ - ესეც შენი ათას
რვაასი! კიდევ რაღაცები გამოჩნდება - სულ ორი უნდა, მეტი არ
დაჯდება, სამაგიეროდ ზღაპრული სუფრა გაიშლება! ჯვარი აქაუ-
რობას, და საცოდავი ბიკენტის ქელეზზეც კი არ იყო ასეთი პურ-
მარილი. ახლა ვინ სად დავსვათ... თამადის ხელმარჯვნივ - სამმარ-
თველოს ხალხი, სუბორდინაციის მიხედვით. ჯერ - უფროსი, მე-
რე - მოადგილეები, შემდეგ გამგეები!.. მარცხენა მხარეს ჩვენი
კომბინატი, მერე - წვრილფეხობა... ვინმე სომ არ გამომჩნა?..
მგონი არავინ. ორი ათასი... ბიკენტის მაგდენი დღეში ჰქონდა,
დღეში თუ არა, კვირაში მაინც. იმდენი დატოვა საცოდავმა, მაგის
შვილებს, შვილიშვილებს და კიდევ იმათ შვილებს ეყოფა, სულ რომ
არაფერი აკეთონ! მაინც რა არის ცხოვრება! - ჭამს, ჭამს, ჭამს,
ჭამს ადამიანი და მაინც ვერ ძღება!.. ზღაპრული სუფრა გაიშლება,
ჩიტის რძეც არ დააკლდება! თამადად - ჭიჭიკოვიჩი! ეკუთვნის,
როგორც სამმართველოს უფროსს, თანაც ეს საქმე რომ იცის, ისე
ნეტავი სხვაც იცოდეს!.. ასეთი სახალწლო სუფრა არც დასიზმრებია
მაგათ! 1985 წელს ახალ სავარძელში უნდა შევხვდე, აბა, ვინაა ჩემ-
ზე ღირსეული კანდიდატურა კომბინატის დირექტორის ვაკანტურს
ადგილზე?!

სოლ. მელიქიანიძე

ცხრაას ოთხმოცდახუთი!

„მოვიდინ დღეო სიხარულისაო!“
ისეთი ცხრაას ოთხმოცდახუთი, რომ ცხრაას ოთხმოცდახუთი ბედნიერება მოეტანოს ხალხისათვის!

ისეთი ცხრაას ოთხმოცდახუთი, რომ მშვიდობა სუფევდეს შინ და გარეთ, ახლოსა და შორს, სადაც კი კაცი სუნთქავს!

ისეთი ცხრაას ოთხმოცდახუთი, რომ ვისაც მშვიდობას ომი ერჩივნოს, თავლები დაუბრმავდეს და ის ხელი დაუღუნდეს, რომელშიც ომის იარაღი ეჭიროს ისეთი გზით წავიდეს ცხოვრება დედამიწაზე, რომ მომავლებმა არ იცოდნენ, რა არის ომი და „გამჭრალ სიტყვათა ლექსიკონში“ ეძებდნენ ამ სიტყვის განმარტებას, პოულობდნენ და ამბობდნენ თქვე საწყლებო, ჩვენო წინაპრებო, ეს რა უბედურება გადაგზღენიათ და რა გადაგიტანიათ!

ისეთი ცხრაას ოთხმოცდახუთი, — სატივარი გვაშოროს, ჭანი და ენერჯია მოგვიმატოს, კეთილად გვაშრომოს!

ისეთი ცხრაას ოთხმოცდახუთი, რომ ყველა ჯანმრთელად გვიმყოფოს, შინაური და გარეშე! კარგად გვიმოუღოს ჩვენი ვაჟაკები, ბარაქა მიეცეს იმათ მონაგარს, დაგვიღოცოს ღმერთმა იმათი მარჯვენა, იმათი ჭანი და ქალარა (თუ ღვინო-არყის სმაში არ შეტოვებს, კარგად გვიყოლებიან, აბა რა!).

ისეთი ცხრაას ოთხმოცდახუთი, რომ ყველა დაგვიანებულ უცოლოს, ყველა დაგვიანებულ გასათხოვარს ბედი გაეხსნას (ვაპატიოთ მათ მოვალეობისადმი გულგრილობა თუ გაუბედობა, რა უშავს!).

ისეთი ცხრაას ოთხმოცდახუთი, რომ წლის თავში აგვიჩაურდეს არემარენი მშობა-ქორწილის განგავით და წლის ბოლოს ტყუპები ჩავვიგორონ ბებიებს კალთაში!

ისეთი ცხრაას ოთხმოცდახუთი, ჩვენთვის, დედებისათვის, რომ რძლისა თუ სიძის შემოსვლას ოჯახი მხიარულებით დაემსგავსებინოს ედემისათვის!

ისეთი ცხრაას ოთხმოცდახუთი, რომ სიამტკბილობა განემტკიცებინოს, რძალედამთილობაში, რძალმულობაში, სიძესილედრობაში!


ისეთი ცხრაას ოთხმოცდახუთი, რომ ჩვენს გოგო-ბიჭებს სწავლაზე უფროსების თქმა არ სჭირდებოდეთ, თავად ბეჭიობდნენ და „დღიურში“ „ხუთები“ მწკრივდებოდეს!

ისეთი ცხრაას ოთხმოცდახუთი, რომ უმაღლესი ცოდნის სახსლის კარი გახსნას ნიჭიერსა და სწავლამოწყურებულ ყველა ახალგაზრდას!

ისეთი ცხრაას ოთხმოცდახუთი, რომ...

წელი ახალი, შენ გაუმართლე იმელები ყველა კეთილ კაცს, გვაკმარე ავი და შავ, მშვიდობით გვაცხოვრე და მშვიდობით ჩაბარდი წლის ბოლოს საუკუნეს!

ლალი მარტაშვილი



უსიტყვოდ

საახალწლო კალენდოსკოპი

მართველებს ბევრი კარგი რამ გადმოგვიღია სხვა ერებისაგან და მათთვისაც გვისწავლეს. მოდიოთ, გადავხედოთ საახალწლო წეს-ჩვეულებებსაც! ვფიქრობთ, აქაც შეიძლება საინტერესო სახსრების შემოთავაზება.

ასე, მაგალითად, ავიღოთ ეთიოპია. იქ დღესასწაულის წინა ღამით სავალდებულოა მდინარეში ბანაობა, რათა წლის ყოველი ბორბობისა და უიღბლობისაგან განიწმინდონ. მოგეხსენებათ, მტკვარი ის მდინარე არაა, რომელშიც განწმენდა შეიძლებოდა, ისიც ქალაქის ტერიტორიაზე და მით უმეტეს — იანვარში. ასე რომ, ეს ჩვენ არ გამოგვადგება!

ახლა ავიღოთ გვიჩხეა. იქ ახალი წლის პირველ დღეს მიღებულია ქუჩებში სპილოების ტარება, ხალხი მღერის და ცეკვავს! ვინაიდან თბილისში ერთადერთი სპილოა და ისიც — ზოობარკში, ესეც შეუძლებელია ჩვენთან!

რაც შეეხება ტორამას ტომს, იქ ვიროთხა საკულტო ცხოველია. მათთან ახალი წლის ღამეს მიღებულია თოქმობმულ, მორთულ-მოკაზმულ ვიროთხებთან ერთად ქუჩებში სეირნობა და ცეკვა-თამაში. საეჭვოა, ამ ეგზოტიკურმა ტრადიციამ ჩვენში ფეხი მოიკიდოს, რადგან სანებიდსადგურებს უკომპრომისო ბრძოლა აქვთ გამოცხადებული ამ რუხი მღრღნელების წინააღმდეგ და ვიროთხა... დასანახადაც გვენატრება (შეგიძლიათ, წყალი მოსეთ!).

ფრანგების საახალწლო წეს-ჩვეულებანი ძალიან ჰგავს ჩვენსას. აქაც ჰყავთ თოვლის პაპა — იგივე პერ ნოელი, რომელიც საჩუქრებით ავსებს ბავშვების ფეხსაცმელს. ჩვენ არაფერი გვაქვს ამის საწინააღმდეგო, მაგრამ რატომ ბავშვის ფეხსაცმელი? — არა სჯობს, რომ კაცის ფეხსაცმელი იყოს და თანაც — ორივე?

რაც შეეხება დანიას, იქ მართლაც მისაბაძი წესრიგია: დანიელმა ქიმიკოსებმა შექმნეს პრეპარატი, რომელსაც სუნი არა აქვს ცელსიუსის ნულ გრადუსამდე, მაგრამ ოთახის ტემპერატურაზე საშინლად ყარს. ამ ფხვნილს ახალი წლის წინ ქალაქის შემაგარენის ნაძვის ტყეებს აფრქვევენ. პოლიციას ისლა დარჩენია, დაელოდოს იმ მოქალაქეთა მეზობლებს საჩივარს, რომელთაც ნაძვის ხის მოპარვა იკადრეს. ეს, რა თქმა უნდა, მეტად ეფექტური საშუალებაა ტყის დასაცავად, მაგრამ, მოდიოთ, ახალ წელს მაინც ვისუნთქოთ სუფთა ჰაერით ქალაქში!

მ რ ა ვ ა ლ ს დ ა ე ს წ ა რ ი ტ ი!



დასავლეთ ევროპის ამერიკული ნაჰვის ხე



**სატირული
ჰეგლიტიკა**

სატირისა და იუმორის ქუ-
რნალი „სინავი“ № 24
(1682) დეკემბერი, გამო-
დის 1923 წლის ივნისიდან.

**მთავარი რედაქტორი
ჯურ ბოლქვაძე**

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ აღეშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ვახუა ამირეჯიბი, ნოზალი
ბართია, ზორის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჯე-
მალ ლოლუა, ნოდარ მაღა-
ზონია (მხატვარ-რედაქტო-
რი), ალექსანდრე ხაშხონია,
ბეჟან ხიზარულიძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ
წიფივაძე, ნაფი ჯუსოიძე.

**ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი**

გადაცემა ასაწყობად 23.11.
84 წ. ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 18. 12. 84 წ. ქალაქ-
ლის ზომა 60 X 90/8
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-
ლი 1,25, სააღრიცხვო-საგა-
მომცემლო თაბახი 1,9, სა-
ქართველოს კბ ცვ-ის გა-
მომცემლობა, ლენინის, 14
შეკვეთა №2662 უე 00124
ტირაჟი 142 700. ქურნალი
გამოდის თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული მა-
სალები ავტორებს არ უბ-
რუნდებათ.

**ჩვენი მისამართი: 380008,
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.**
ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაეების — 99-02-38,
მდივან - მემანქანის —
99-76-69.

სატირიკო - юмористиче-
ский журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели
№ 42. Издательство ЦК
КП Грузии, Типография
издательства ЦК КП
Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.

შპსი 20 აპრილი
0566531 76137

